

შპს „წყალტუბო პლაზა“-ს

2020 წლის ფინანსური ანგარიშგება

შპს „წყალტუბო პლაზა“-ს

ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

შპს წყალტუბო პლაზა			
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება			
		ერთეული: 1 GEL	
	საანგარიშგებო თარიღი		შენიშვნა
	31.12.2020	31.12.2019	
აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები		53363	3629 3.1
სავაჭრო მოთხოვნები		48685	22819 3.2
გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი		7803	1916
მარაგები		38162	38159
მ.შ. - მზა პროდუქცია			
- სხვა მარაგი		38162	38159 3.3
საინვესტიციო ქონება			
სხვა მიმდინარე აქტივები		4455	5871
ბიოლოგიური აქტივები			
მ.შ. - თვითღირებულების მოდელით			
- გადაფასების მოდელით			
გუდვილი			
სხვა არამატერიალური აქტივები		63718	68612 3.4
ძირითადი საშუალებები		6091995	6459571 3.5
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში			
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში			
სხვა გრძელვადიანი აქტივები			
სულ აქტივები		6308181	6600577
ვალდებულებები			
ფინანსური იჯარის (ლიზინგის) ვალდებულება			
სავაჭრო ვალდებულებები		68937	108932 3.6
ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები			
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ		21521	8414
საგადასახადო ვალდებულებები		46850	3644 3.7
გამოუმუშავებელი შემოსავალი და მიღებული ავანსები		4600	
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები		122874	164925 3.8
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები		5626232	4426224 3.9
მიღებული გრანტებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები			
სხვა ვალდებულებები			110511
სულ ვალდებულებები		5891014	4822650
საკუთარი კაპიტალი			
კაპიტალი (სააქციო კაპიტალი, საპაიო კაპიტალი)		7523853	7523853 3.10
საემისიო შემოსავალი			
გამოსყიდული საკუთარი აქციები			
გაუნაწილებელი მოგება/ზარალი		-7106686	-5745926
გადაფასების რეზერვი			
სხვა რეზერვები			
მ.შ. - არამაკონტროლებელი წილი			
სულ საკუთარი კაპიტალი		417167	1777927
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		6308181	6600577
ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 30.09.2021 წ.			
დირექტორი _____ გიორგი ორთოძე			
თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.			

შპს „წყალტუბო პლაზა“-ს

ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

შპს წყალტუბო პლაზა			
საკმეიანობის შედეგები			
		ერთეული: 1 GEI	შენიშვნა
	საანგარიშგებო პერიოდი		
	2020	2019	
ნეტო ამონაგები	1292927	2230787	3.11
მ.შ. - საქონლის გაყიდვიდან			
- მომსახურების გაწევიდან	1292927	2201869	
- სამშენებლო ხელშეკრულებებიდან			
- სხვა ამონაგები		28918	
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება			
- საწყისი მარაგები			
- მარაგების შესყიდვა			
- გადამუშავების დანახარჯები			
- საბოლოო მარაგები			
საერთო მოგება	1292927	2230787	
სხვა საოპერაციო შემოსავალი	55370		3.12
დასაქმებულთა ანაზღაურება	-519413	-747377	
ცვტა და ამორტიზაცია	-449386	-436560	
საპროცენტო შემოსავალი		16452	
საპროცენტო ხარჯი	-537948	-481772	3.13
იჯარის ხარჯი		-10399	
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-608966	-1023541	3.14
სულ საოპერაციო ხარჯები	-2060343	-2683197	
საოპერაციო მოგება	-767416	-452410	
გაუფასურების ხარჯი/ რევერსირება			
მ.შ. - ფინანსური აქტივების			
- მარაგების			
- სხვა არაფინანსური აქტივების			
წმინდა შემოსულობა/ დანაკარგი სავალუტო ოპერაციებიდან	-638192	-307004	
მიღებული დივიდენდები			
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ ხარჯი	82788		3.15
მოგება/ზარალი მოგების გადას. ხარჯამდე განგრძ. ოპერაციებიდან	-1322820	-759414	
მოგების გადასახადის ხარჯი			
საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ ზარალი	-1322820	-759414	
სხვა სრული შემოსავალი/ ზარალი			
ძირითადი საშუალებების გადაფასების რევერზი (მ.შ. ბიოლ. აქტივების)			
სხვა			
სხვა სრული შემოსავალი/ ზარალი, სულ:			
მთლიანი სრული შემოსავალი/ზარალი	-1322820	-759414	
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	1777927	2537341	
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ში კაპიტალის გაზრდა/შემცირება)			
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)			
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში			
კაპიტალის სხვა ცვლილებები	-37940		3.16
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	417167	1777927	
ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 30.09.2021 წ.			
დირექტორი _____	გიორგი ორთოძე		3
თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.			

შპს „წყალტუბო პლაზა“-ს

ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

შპს წყალტუბო პლაზა		
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება		
		ერთეული: 1 GEL
	საანგარიშგებო პერიოდი	
	2020	2019
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	205005	202785
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	-97219	-266947
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	-58341	54525
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	49445	-9637
სავალუტო კურსის ეფექტი	288	1225
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისში	3629	12041
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს	53362	3629
ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 30.09.2021 წ.		
დირექტორი _____	გიორგი ორთოძე	
თანმზღუბი განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.		

2020 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ნაწილი

1.1. შპს „წყალტუბო პლაზა“ (შემდგომში – კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრებულია 2013 წლის 10 ოქტომბერს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. მისი საიდენტიფიკაციო კოდია - 421269512, იურიდიული მისამართი - საქართველო, წყალტუბო, რუსთაველის ქ. N 15ა. ფაქტობრივი მისამართი ემთხვევა იურიდიულ მისამართს. კომპანია დარეგისტრებულია დღგ-ის გადამხდელად.

1.2. კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელია შპს „მგ კომპანია“ (ს/ნ 204854327), რომლის 100%-იანი წილის მფლობელია ფ/პ თეიმურაზ ორთოიძე (პ/ნ 01011004858).

1.3. კომპანიის დირექტორია გიორგი ორთოიძე (პ/ნ 01017019069).

1.4. კომპანიის ძირითადი ეკონომიკური საქმიანობაა სასტუმრო მომსახურება.

კომპანიის დამატებით (არაძირითად) ეკონომიკურ საქმიანობას წარმოადგენს სესხის გაცემა, ასევე, სხვა საქმიანობა, რომელიც არ არის აკრძალული საქართველოს კანონმდებლობით.

კომპანია ძირითად საქმიანობას ახორციელებს ერთ ლოკაციაზე - საქართველო, წყალტუბო, რუსთაველის ქ. N 15ა.

1.5. კომპანიას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, არ ჰყავს შვილობილი და მეკავშირე საწარმოები.

1.6. კომპანიის დაქირავებულ თანამშრომელთა საშუალო რაოდენობა 2020 წელს შეადგენდა 57 ადამიანს. ბუღალტრულ აღრიცხვას ხელშეკრულების საფუძველზე აწარმოებს მომსახურე აუდიტური ფირმა.

1.7. წესდების მიხედვით, საანგარიშგებო წელი გრძელდება 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

საქართველოს ბიზნეს-გარემო

კომპანია საქმიანობას ეწევა საქართველოში და მასზე ზემოქმედებს საქართველოში მოქმედი ეკონომიკური ფაქტორები და ფინანსური ბაზრები. საქართველოში მოქმედი საკანონმდებლო, საგადასახადო და მარეგულირებელი სტრუქტურები განაგრძობენ განვითარებას. განვითარებადი ქვეყნისთვის დამახასიათებელია ხშირი საკანონმდებლო ცვლილებები, რაც ხშირად წარმოშობს საკითხებს, რომლებიც განსხვავებულად ინტერპრეტირდება სახელმწიფო ორგანოებისა და საქართველოში მოქმედი კომერციული კომპანიების მხრიდან.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა

2.1. 2018 წლის 1 იანვრიდან დაწყებული, კომპანიის ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება წარმოებს შსს ფასს-ის (ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისათვის) მიხედვით. ამასთან, კომპანია წარმოადგენს მესამე კატეგორიის საწარმოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს 2016 წლის 8 ივნისის კანონის თანახმად. აღნიშნული კანონიდან გამომდინარე, კომპანიას არ ევალება წლიური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი.

2.2. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით - ანუ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის მენეჯმენტსა და მფლობელებს სურვილი აქვთ, განავითარონ კომპანიის საქმიანობა საქართველოში. მენეჯმენტს სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება შესაბამისია კომპანიისათვის.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის და პირვანდელი (ისტორიული) ღირებულების პრინციპის გათვალისწინებით. აღრიცხვა-ანგარიშგების ფუნდამენტური სააღრიცხვო პრინციპი - დარიცხვის მეთოდი დაცულია. სააღრიცხვო შეფასებები და ძირითადი დაშვებები ყოველწლიურად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასების ცვლილების აღიარება ხდება იმ პერიოდში, როდესაც ხდება შეფასებების გადახედვა და ასევე შესაბამის მომავალ პერიოდებში.

მენეჯმენტის მოსაზრებით, ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას არ არსებობს კრიტიკული გადაწყვეტილებები, რომელსაც შეუძლია გავლენა იქონიოს ფინანსური ანგარიშგების მუხლებში აღიარებულ თანხებზე და არ არსებობს ვარაუდები და შესაძლო გაურკვევლობები, რომელიც შეიძლება შეიცავდეს არსებითი კორექტირებების მნიშვნელოვან რისკებს მომავალი ფინანსური წლის შედეგებზე.

2.3. გათვალისწინებულია მსს ფასს-ის ძირითადი დაშვება - ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი, რაც გულისხმობს, რომ კომპანიის მენეჯმენტი არ გეგმავს და არ მოელის, რომ უახლოესი ერთი წლის განმავლობაში კომპანია შეწყვეტს ფუნქციონირებას, ან მოხდება მისი საქმიანობის მასშტაბის არსებითი შეზღუდვა. შესაბამისად, კომპანიის 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ამ დაშვების გათვალისწინებით, რაც გულისხმობს, რომ აქტივების რეალიზაცია/გასვლა და ვალდებულებების დაფარვა ხორციელდება ბიზნესის ჩვეულებრივი მსვლელობისას.

2.4. 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, გამოყენებულია ამ თარიღის მდგომარეობით მოქმედი მსს ფასს.

2.5. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს (1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე).

2.6. კომპანიის მიერ გამოყენებულია შემდეგი სააღრიცხვო პოლიტიკა:

შემოსავლების აღიარება

შემოსავლების აღიარება ხდება საქონლის და მომსახურების გაყიდვიდან ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში მისაღები ან მიღებული თანხის სამართლიანი ღირებულებით, დარიცხვის მეთოდის შესაბამისად.

რეალიზებული საქონლის უკან დაბრუნება და ფასდათმობა აღიარებულია შემოსავლის შემცირების გზით, გაყიდვების აღიარებასთან ერთად.

საექვო მოთხოვნების აღიარება

კომპანიის საექვო მოთხოვნების სიდიდე განისაზღვრება ინდივიდუალურად თითოეული დებიტორული დავალიანების შესწავლის გზით. თუ დებიტორული დავალიანების წარმოშობიდან გასულია 3 წელი ან მეტი, ეს წარმოადგენს წინაპირობას მისი 100%-იანი გაუფასურებისათვის, თუმცა ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ხდება დამატებითი განსჯა, საჭიროა თუ არა მოთხოვნის გაუფასურების ანარიცხის აღიარება (მათ შორის, 3 წლამდე ნაკლებ ვადაში).

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულება ყოველი საანგარიშგებო პერიოდისთვის წარმოადგენს შემდეგი სიდიდეების ნეტო ღირებულებას:

(ა) თანხა, რომლითაც ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება შეფასებულია თავდაპირველი აღიარებისას;

(ბ) გამოკლებული ძირი თანხის დასაფარად გადახდილი თანხები;

(გ) მიმატებული ან გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაციის თანხა, რომელიც მიიღება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით თავდაპირველად აღიარებულ და დასაფარ თანხებს შორის განსხვავების მიმართ; და

(დ) გამოკლებული, ფინანსური აქტივის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალის ან უიმედო ვალის შემცირების თანხა (პირდაპირ, ან რეზერვების ანგარიშების გამოყენებით).

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები, რომლებსაც არ გააჩნია ნომინალური საპროცენტო განაკვეთი, დაკავშირებული არ არის ისეთ შეთანხმებასთან,

რომელიც ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს და კლასიფიცირდება, როგორც მოკლევადიანი აქტივები ან მოკლევადიანი ვალდებულებები, თავდაპირველად შეფასდება არადისკონტირებული ღირებულებით. აქედან გამომდინარე, მათზე არ ვრცელდება ზემოაღნიშნული (გ) პუნქტის მოთხოვნა.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური აქტივების, ან ფინანსური ვალდებულებების ჯგუფის) ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და საპროცენტო შემოსავლების ან ხარჯების შესაბამის პერიოდზე მიკუთვნების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის ან, როდესაც შესაფერისია, უფრო მოკლე ვადის განმავლობაში მისაღები ან გადასახდელი სავარაუდო ფულადი სახსრები ზუსტად დისკონტირდება ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი უნდა განისაზღვროს ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე დაყრდნობით, რომელიც მას გააჩნია საწყისი აღიარებისას. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის მიხედვით:

(ა) ფინანსური აქტივის (ვალდებულების) ამორტიზებული ღირებულება არის მომავალში მისაღები (გადასახდელი) ფულადი სახსრების დღევანდელი ღირებულება, რომელიც დისკონტირებულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთით; და

(ბ) პერიოდის საპროცენტო ხარჯი (შემოსავალი) ტოლია მოცემული პერიოდის ეფექტური საპროცენტო განაკვეთისა და ფინანსური ვალდებულების (აქტივის) საბალანსო ღირებულების ნამრავლის, რომელიც მას ჰქონდა პერიოდის დასაწყისში.

გარიგებები უცხოურ ვალუტაში

გარიგებები უცხოურ ვალუტაში კონვერტირდება კომპანიის შესაბამის სამუშაო ვალუტაში ტრანზაქციების განხორციელების დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ დადგენილი ოფიციალური სავალუტო გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიცვლება სამუშაო ვალუტაში, ამავე თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსის მიხედვით. უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც დაიანგარიშება სამართლიანი ღირებულებით, კონვერტირდება ფუნქციონალურ ვალუტაში სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის დღისთვის არსებული ვალუტის გაცვლის კურსის მიხედვით. არაფულადი ერთეულები

უცხოურ ვალუტაში, რომელიც გამოთვლილია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გადაყვანილია ტრანზაქციის თარიღისთვის მოქმედი გაცვლითი კურსით. ვალუტის გადაფასებით გამოწვეული სავალუტო საკურსო სხვაობები აისახება პერიოდის მოგებაში ან ზარალში.

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

თანამშრომელ პირთა გასამრჯელოები აღიარდება შესრულებული სამუშაოს საფუძველზე არადისკონტირებული ღირებულებით და შესაბამისად აისახება ხარჯებში. ასანაზღაურებელი თანხა აღიარდება მოკლევადიანი ვალდებულების სახით.

მარაგები

მარაგები აღირიცხება უწყვეტი მეთოდით. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ისინი შეფასებულია თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში საქმიანობისას არსებული აქტივის გასაყიდ ფასს გამოკლებული დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია აქტივის გაყიდვასთან. მარაგების ჩამოწერა ხდება სპეციფიკური იდენტიფიკაციის მეთოდის საშუალებით, თუ ეს შესაძლებელი და მიზანშეწონილია, ხოლო სხვა შემთხვევებში - საშუალო ფასთა მეთოდის გამოყენებით.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს კომპანიისთვის წარმოადგენს ფული სალაროში და ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე.

გრძელვადიანი აქტივები

ა) ძირითადი საშუალებების, საინვესტიციო ქონების და არამატერიალური აქტივების აღრიცხვისათვის გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

ბ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთისათვის გამოიყენება წრფივი მეთოდი. ამასთან, ცვეთის დარიცხვა იწყება იმ თვიდან, როდესაც ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გამოყენება დაიწყო, ხოლო იმ თვეში, როდესაც მოხდა ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გასვლა, ცვეთის დარიცხვა არ ხდება.

გ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთა ხდება საბალანსო და სალიკვიდაციო ნარჩენ ღირებულებებს შორის სხვაობიდან სასარგებლო სამსახურის ვადის

გათვალისწინებით. თუ კონკრეტული ძირითადი საშუალებისთვის ან საინვესტიციო ქონებისთვის ნარჩენი სალიკვიდაციო ღირებულება განსაზღვრული არ არის, ის ჩაითვლება ნულის ტოლად, ხოლო თუ სასარგებლო სამსახურის ვადა არ არის დადგენილი, ცვეთის დარიცხვა ხდება შემდეგი წლიური საპროცენტო განაკვეთების მიხედვით:

შენობა-ნაგებობები - 25-40 წელი;

მანქანა-დანადგარები - 8-10 წელი;

კომპიუტერული ტექნიკა - 4-8 წელი;

ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა - 8-10 წელი;

სატრანსპორტო საშუალებები - 5-10 წელი;

იჯარით აღებული ფართის კაპიტალური რემონტი - 10 წელი;

სხვა ძირითადი საშუალებები - 2-5 წელი.

დ) არამატერიალური აქტივების ამორტიზაციისათვის გამოიყენება:

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა და ეს ვადა განსაზღვრულია, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი მათი სასარგებლო სამსახურის ვადის შესაბამისად;

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა, მაგრამ ეს ვადა ცალსახად განსაზღვრული არ არის, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი წლიური საპროცენტო განაკვეთით - 10%;

- არამატერიალური აქტივები განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადით არ ამორტიზდება.

ე) შეკეთებასთან ან განახლებასთან დაკავშირებული ხარჯები ირიცხება წარმოშობისთანავე და მათი ჩართვა ხდება პერიოდის საოპერაციო ხარჯებში, თუ არ არსებობს მათი კაპიტალიზაციის საფუძველი.

გადასახადები

2016 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის „ესტონური მოდელის“ სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაშია საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური დაწესებულებებისა (როგორიც არის ბანკები, სადაზღვევო კომპანიები,

მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, საკრედიტო კავშირები და დადგენილი წესით რეგისტრირებული სესხის გამცემი სუბიექტები), რომლებისთვისაც კანონი მოგვიანებით შედის ძალაში (2023 წლის 1 იანვრიდან). კომპანიის დაბეგვრა მოგების გადასახადით ხდება „ესტონური მოდელის“ შესაბამისად.

ახალი საგადასახადო სისტემიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს, როგორც წესი, არ წარმოეშვებათ დროებითი სხვაობები კომპანიის საგადასახადო ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებებს შორის. შესაბამისად, 2017 წლიდან მათ არ აქვთ გადავადებული საგადასახადო აქტივები და გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულებები (გარდა იშვიათი გამონაკლისის შემთხვევებისა).

2017-2020 წლებში საქართველოში მოგების გადასახადის განაკვეთი 15%-ს შეადგენდა.

წარდგენის ვალუტა და ერთეულის სიზუსტე

საქართველოს ეროვნულ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის სამუშაო ვალუტა და აგრეთვე ვალუტა, რომელშიც არის წარმოდგენილი კომპანიის ფინანსური ანგარიშგება. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია 1 (ერთი) ლარის სიზუსტით.

გაცვლითი სავალუტო კურსები

სავალუტო ფულადი მუხლებისათვის გამოყენებულია შემდეგი ოფიციალური გაცვლითი კურსები, დადგენილი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ:

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=3.2766 ლარი;

1 EUR=4.0233 ლარი.

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=2.8677 ლარი;

1 EUR=3.2095 ლარი.

საშუალო სავალუტო გაცვლითი კურსი შეადგენდა:

2020 წელს: 1 USD=3.0937 ლარი; 1 EUR=3.5395 ლარი.

2019 წელს: 1 USD=2.8192 ლარი; 1 EUR=3.1553 ლარი.

3. ფინანსური ანგარიშგების მუხლების განმარტებითი შენიშვნები

3.1. ფული და ფულის ეკვივალენტები:

	ნაშთი 31.12.2020 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით
ნაღდი ფული სალაროში	18178	1438
ლარი საბანკო ანგარიშებზე	27781	2056
აშშ დოლარები საბანკო ანგარიშებზე	6555	0
ევროები ადგილობრივ საბანკო ანგარიშებზე	817	
ტერმინალით გადახდისას მიღებული ფული	32	135
სულ:	53362	3629

3.2. სავაჭრო მოთხოვნები:

	ნაშთი 31.12.2020 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით
მომსახურებიდან მოთხოვნები ლარში	48685	15629
მომსახურებიდან მოთხოვნები ევროში		7190
სულ:	48685	22819

მოთხოვნები წარმოქმნილია სასტუმრო მომსახურების გაწევიდან ფიზიკური და იურიდიული პირების მიმართ. 2020 წლის ბოლოსათვის, კომპანიას არ აქვს გაუფასურებული დებიტორული მოთხოვნები.

3.3. მარაგები:

	ნაშთი 31.12.2020 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით
საქონელი	13409	16910
დაუმთავრებელი წარმოება	1230	0
საწვავ-საცხები მასალები	1140	805
სხვა სასაქონლო-მატერიალური მარაგი	22382	20444
სულ:	38161	38159

სხვა მატერიალური ფასეულობები შედგება სასტუმროს დასუფთავების დეპარტამენტის მიერ გასახარჯი საქონლისაგან.

3.4. არამატერიალური აქტივები:

კომპანიის არამატერიალური აქტივები შედგება საბუღალტრო პროგრამისაგან, სასტუმროს ფუნქციონირებისათვის საჭირო სპეციალური პროგრამებისაგან და შესაბამისი პროგრამული მოდულებისაგან.

3.5. ძირითადი საშუალებები:

	ნაშთი 31.12.2020 მდგომარეობით	2020 წელი ზრდა ან შემცირება	2020 წელი დარიცხული ცვეთა	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით
მიწის ნაკვეთები	178831	0		178831
დაუმთავრებელი მშენებლობა	398309	-76		398386
შენობები	4717788	0	236819	4954607
ელექტრონული და მექანიკური მოწყობილობები, გათბობის სისტემა, დიზელ-გენერატორები	429281	58158	70216	441339
კომპიუტ. ტექნიკა და პერიფერიული მოწყობილობები, ელექტრონული აპარატურა	10688	765	24586	34508
ავეჯი	205973	-1385	58468	265826
ინვენტარი	39083	-126	18863	58073
მსუბუქი ავტომობილები	10734	6405	1079	5408
ლიზინგით (ფინანსური იჯარით) მიღებული ძირითადი საშუალებები	29804	0	4471	34275
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	47227	0	11278	58505
მცირეფასიანი ძირითადი საშუალებები	16082	13006	18260	21336
მცენარეები (ეზოს გამწვანება)	8195	0	282	8478
სულ:	6091995	76746	444322	6459571

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკით, ძირითადი საშუალებების მიმართ გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

ძირითადი საშუალებების ერთიანი დაგროვილი ცვეთის თანხა შეადგენდა:

2020 წლის ბოლოს - 2327547 ლარს,

2019 წლის ბოლოს - 1908913 ლარს.

3.6. სავაჭრო ვალდებულებები:

	ნაშთი 31.12.2020 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით
დავალიანება რეზიდენტი მიმწოდებლების მიმართ	68937	108932
დავალიანება არარეზიდენტი მიმწოდებლების მიმართ	0	0
სულ:	68937	108932

კომპანიის სავაჭრო ვალდებულებები შედგება რეზიდენტი მიმწოდებლებისადმი საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი დავალიანებებისაგან ეროვნულ ვალუტაში.

3.7. საგადასახადო ვალდებულებები:

კომპანიის საგადასახადო ვალდებულება 31.12.2020-ისთვის შედგება კომპანიის მიერ წარდგენილი 2020 წლის საგადასახადო დეკლარაციებით (დღგ, საშემოსავლო) დარიცხული თანხებისაგან. ასევე, კომპანიამ ისარგებლა ე.წ. „კორონა ვირუსის“ გამო სახელმწიფოს მიერ დაწესებული შეღავათით 2020 წლის რამდენიმე თვის საშემოსავლო გადასახადის გადახდის დროებით გადავადებით და აღნიშნული თანხაც ასახულია საგადასახადო ვალდებულებებში. ანგარიშგების წარდგენის მომენტში კომპანიას დაფარული (გადახდილი) აქვს აღნიშნული თანხები სრულად.

3.8. მოკლევადიანი ნასესხები სახსრები:

კომპანიის მოკლევადიანი სესხები შედგება სს „ბანკის ქართუს“ ოვერდრაფტისგან და მცირე მოკლევადიანი სესხისგან ეროვნულ ვალუტაში.

3.9. გრძელვადიანი სესხები:

	ნაშთი 31.12.2020 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით
სესხები ლარებში	155252	127335
სესხები აშშ დოლარებში	5470980	4298889
სულ:	5626232	4426224

კომპანიის გრძელვადიანი სესხები, როგორც ლარში ასევე აშშ დოლარში, ფაქტობრივად სრულად შედგება სს „ბანკი ქართუ“-საგან აღებული სესხებისაგან.

3.10. საკუთარი კაპიტალი:

კომპანიის კაპიტალი მისი დაფუძნებისას განისაზღვრა 200 ლარის ოდენობით, 2015 წელს კომპანიის 100%-იანი წლის მფლობელმა (რომელიც, მაშინაც იყო შპს „მგ კომპანია“) მოახდინა კომპანიის კაპიტალის გაზრდა და 2015 წელსვე მოახდინა კომპანიის გაზრდილი კაპიტალის შევსება ქონებით (ქონების ღირებულება, კაპიტალში შეტანისას, შეფასებული იქნა მოწვეული ექსპერტ-შემფასებლის მიერ).

3.11. ნეტო ამონაგები:

2020 წელს კომპანიის ამონაგები მთლიანად შედგებოდა სასტუმრო მომსახურებით მიღებული შემოსავლებისაგან.

3.12. სხვა საოპერაციო შემოსავალი:

2020 წელს კომპანიის სხვა საოპერაციო შემოსავალი შედგება საშემოსავლო გადასახადში კომპანიის მიერ დაწესებული გადასახადისაგან 1500 ლარამდე ოდენობით ხელფასებთან მიმართებაში - 33441 ლარი, სადაზღვევო შემთხვევის ანაზღაურებისაგან და სხვა მცირე ოდენობის შემოსავლებისაგან.

3.13. საპროცენტო ხარჯები:

2020 წელს კომპანიის საპროცენტო ხარჯები ძირითადად შედგებოდა სს „ბანკი ქართუსგან“ აღებულ სესხებზე დარიცხული პროცენტებისაგან.

3.14. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები (გარდა სხვა მუხლებში განცალკევებულად ასახული შრომის ანაზღაურების, იჯარის, პროცენტების, ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯებისა):

კომპანიამ 2020 წელს ისარგებლა სასტუმროების ქონებაზე სახელმწიფოს მიერ ე.წ. „კორონა ვირუსის“ გამო ქვეყანაში შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე დაწესებული შეღავათით.

შპს „წყალტუბო პლაზა“-ს

ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

	2020 წელი
ძირითადი მასალების დანახარჯები / შეძენა (საკვები პროდუქტები და სასმელები)	225098.36
სასტუმროს დასუფთავების მასალების დანახარჯები /	88053.84
სამეურნეო და ტექნიკური საქონლის ხარჯები	14.12
დაქირავებულ თანამშრომელთა ავტომობილით მომსახურება (დამით სახლამდე) და კვება - წარმოქმნილი გადასახადები	17241.66
საწარმოო პერსონალის დაზღვევის ხარჯები	6105.12
საწარმოო ქონების დაზღვევა	5810.69
მიღებული ყოველთვიური მომსახურებების ხარჯები	6630.40
IT-ტექნიკური მომსახურება	5330.00
HRS-ის ტექნიკური მხარდაჭერის მომსახურება (Fidelio, Materials Control, Micros)	16546.35
ბუნებრივი აირის ხარჯი	24682.30
ელექტრო ენერგიის ხარჯი	80541.42
წყლისა და კანალიზაციის ხარჯი	19487.40
ტელეფონისა და ინტერნეტის ხარჯები	16356.99
საწვავის ხარჯები (საწარმოო დანიშნულების)	514.11
საიჯარო ქირა (საწარმოო)	3813.57
საწარმოო დანიშნულების ძირითადი საშუალებების რემონტის ხარჯები	37651.49
საწარმოო დანიშნულების ძირითადი საშუალებების საექსპლუატაციო ხარჯები	4153.61
სხვა საერთო-საწარმოო ხარჯები	2299.95
ხარჯები სასტუმრო მომსახურების მიწოდებისას	449.16
რეკლამის ხარჯები	288.98
ყოველთვიური მარკეტინგული მომსახურების ხარჯი	31875.00
booking.com	704.57
facebook	3168.72
ვებ-გვერდის ტექნიკური მომსახურება	200.00
პერსონალის დაზღვევის ხარჯები	1536.48
საწვავის ხარჯები (საერთო-ადმინისტრაციული)	8794.48
tph.ge ჰოსტინგ, დომენ: ts Kaltuboplaza.ge და tph.ge	560.35
ფინანსური და ბუღალტრული მომსახურებები	30406.78
საგადასახადო ხარჯები	-61930.00
საბანკო ხარჯები	1432.99
საბანკო ხარჯები კონვერტაციაზე	136.00
საბანკო ხარჯები ტერმინალით გადახდისას	1748.80
მომხმარებლისათვის დაბრუნებული ქეშბეკი	20.00
ძირითადი საშუალებების რემონტის ხარჯები	11330.77
საერთო დანიშნულების ძირითადი საშუალებების საექსპლუატაციო ხარჯები	1820.77
სხვა საერთო-ადმინ. ხარჯები	16090.13
სულ:	608965

3.15. სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი):

2020 წელს კომპანიამ შემოსავალში აღიარა 2017 წელში მიღებული ავანსისგან წარმოქნილი ვალდებულება. აღნიშნული ავანსი თავის დროზე კომპანიას დაბეგრილი აქვს დამატებული ღირებულების გადასახადით საგადასახადო კოდექსის შესაბამისად.

3.16. კაპიტალის სხვა ცვლილებები:

კომპანიამ გაასწორა 2019 წელს აღრიცხვაში დაშვებული არაარსებითი მექანიკური შეცდომა - გამორჩენილი ხარჯი.

3.17. სასამართლო დავები:

კომპანიას 2020 წლის განმავლობაში მნიშვნელოვანი სახის სასამართლო დავები არ ჰქონდა.

3.18. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

2021 წლის 1 იანვრიდან 30 სექტემბრამდე პერიოდში, კომპანიის ეკონომიკურ საქმიანობაში საყურადღებო მოვლენები არ მომხდარა.

3.19. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება ხელმოწერილი და გამოსაცემად ნებადართულია 2021 წლის 30 სექტემბერს კომპანიის მენეჯმენტის მიერ. კომპანიის ხელმძღვანელობას უფლება აქვს შეცვალოს ფინანსური ანგარიშგება გამოშვების შემდეგ.

შპს წყალტუბო პლაზა

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ერთეული: 1 GEL

	საანგარიშგებო თარიღი		შენიშვნა
	31.12.2020	31.12.2019	
აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	53363	3629	3.1
სავაჭრო მოთხოვნები	48685	22819	3.2
გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი	7803	1916	
მარაგები	38162	38159	
მ.შ. - შპს პროდუქცია			
- სხვა მარაგი	38162	38159	3.3
საინვესტიციო ქონება			
სხვა მიმდინარე აქტივები	4455	5871	
ბიოლოგიური აქტივები			
მ.შ. - თვითღირებულების მოდელით			
- გადაფასების მოდელით			
გუდვილი			
სხვა არამატერიალური აქტივები	63718	68612	3.4
ძირითადი საშუალებები	6091995	6459571	3.5
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში			
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში			
სხვა გრძელვადიანი აქტივები			
სულ აქტივები	6308181	6600577	
ვალდებულებები			
ფინანსური იჯარის (ლიზინგის) ვალდებულება			
სავაჭრო ვალდებულებები	68937	108932	3.6
ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები	21521	8414	
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	46850	3644	3.7
საგადასახადო ვალდებულებები	4600		
გამოუმუშავებელი შემოსავალი და მიღებული ავანსები	122874	164925	3.8
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	5626232	4426224	3.9
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები			
მიღებული გრანტებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები		110511	
სხვა ვალდებულებები	5891014	4822650	
სულ ვალდებულებები			
საკუთარი კაპიტალი			
კაპიტალი (სააქციო კაპიტალი, საპაიო კაპიტალი)	7523853	7523853	3.10
საემისიო შემოსავალი			
გამოსყიდული საკუთარი აქციები	-7106686	-5745926	
გაუნაწილებელი მოგება/ზარალი			
გადაფასების რეზერვი			
სხვა რეზერვები			
მ.შ. - არამაკონტროლებელი წილი	417167	1777927	
სულ საკუთარი კაპიტალი	6308181	6600577	
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები			

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 30.09.2021 წ.


დირექტორი

გიორგი ორთოიძე

თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.

	საანგარიშგებო პერიოდი		
	2020	2019	
ნეტო ამონაგები	1292927	2230787	3.11
მ.შ. - საქონლის გაყიდვიდან			
- მომსახურების გაწევიდან	1292927	2201869	
- სამშენებლო ხელშეკრულებებიდან		28918	
- სხვა ამონაგები			
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება			
- საწყისი მარაგები			
- მარაგების შესყიდვა			
- გადამუშავების დანახარჯები			
- საბოლოო მარაგები			
საერთო მოგება	1292927	2230787	
სხვა საოპერაციო შემოსავალი	55370		3.12
დასაქმებულთა ანაზღაურება	-519413	-747377	
ცვეთა და ამორტიზაცია	-449386	-436560	
საპროცენტო შემოსავალი		16452	
საპროცენტო ხარჯი	-537948	-481772	3.13
იჯარის ხარჯი		-10399	
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-608966	-1023541	3.14
სულ საოპერაციო ხარჯები	-2060343	-2683197	
საოპერაციო მოგება	-767416	-452410	
გაუფასურების ხარჯი/ რევერსირება			
მ.შ. - ფინანსური აქტივების			
- მარაგების			
- სხვა არაფინანსური აქტივების			
წმინდა შემოსულობა/ დანაკარგი სავალუტო ოპერაციებიდან	-638192	-307004	
მიღებული დივიდენდები	82788		3.15
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ ხარჯი			
მოგება/ზარალი მოგების გადას. ხარჯამდე განგრძ. ოპერაციებიდან	-1322820	-759414	
მოგების გადასახადის ხარჯი			
საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ ზარალი	-1322820	-759414	
სხვა სრული შემოსავალი/ ზარალი			
ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი (მ.შ. ბიოლ. აქტივების)			
სხვა			
სხვა სრული შემოსავალი/ ზარალი, სულ:	-1322820	-759414	
მთლიანი სრული შემოსავალი/ზარალი			
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	1777927	2537341	
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ში კაპიტალის გაზრდა შემცირება)			
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)			
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში			
კაპიტალის სხვა ცვლილებები	-37940		3.16
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	417167	1777927	

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაცემებლად 30.09.2021 წ.

დირექტორი  გიორგი ორთოიძე

თანხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

ერთეული: 1 GEL

	საანგარიშგებო პერიოდი	
	2020	2019
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	205005	202785
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	-97219	-266947
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	-58341	54525
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	49445	-9637
სავალუტო კურსის ეფექტი	288	1225
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისში	3629	12041
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს	53362	3629

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 30.09.2021 წ.

დირექტორი



გიორგი ორთოიძე

თანხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.